# პალიატიურ ბავშვებზე ზრუნვის თავისებურებები ტრანზიტულ ქვეყნებში

**თამარ კოხოძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი 2015**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ კვლევა არის ჩემს მიერ დამოუკიდებლად წარმოებული და არ შეიცავს აქამდე გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებლად გამზადებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს. ყველა გამოყენებული მასალა აღნიშნულია წესების შესაბამისად.

თამარ კოხოძე

## აბსტარქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ბავშვთა პალიატიური ზრუნვის თავისებურებებს. აქცენტი გაკეთებულია პალიატიური პაცინეტების მთავარ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებზე. ნაშრომში განხილულია პალიატიური ბავშვების ოჯახების მთავარი პრობლემები და მათთან მუშაობის მეთოდები.ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნა შემთხვევის ანალიზის მეთოდი,რომელიც მიზნად ისახავდა პალიატიური ბავშვების მშობლების ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხის და სხვა ფაქტორების შესწავლას. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა პაცინტის მშობლების დამოკიდებულებები და პრობლემები.

მიღებული შედეგები კარგად ასახავს იმ ძირითად პრობლემებს, რასაც პალიატიური ბავშვები და მათი ოჯახები აწყდებიან საქართველოში,ერთ-ერთ ტრანზიტულ ქვეყანაში,სადაც პალიატიური ზრუნვა არც თუ ისე კარგად არის დანერგილი.